თამაზ გამყრელიძე

საქართველო ევროპაა თუ აზია?

ეს კითხვა დღეს ხშირად და განსაკუთრებით მძაფრად დაისმის საქართველოს "ევროსაბჭო-ში" განევრიანებასთან დაკავშირებით და სულ უფრო მზარდი ტენდენციის გამო საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისა.

"ევროპა" და "აზია" ფიზიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით საერთო კონტინენტს წარმოადგენს და გაერთიანებულია "ევრაზიის" სახელწოდებით. ამ საერთო კონტინენტის დაყოფა "ევროპულ" და "აზიურ" ნაწილებად არსებითად პირობითია, უფრო გეოპოლიტიკური ფაქტორებით არის შეპირობებული და ძირითადად კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებს ემყარება.

გეოგრაფიული სახელები "ევროპა" და "აზია" ანტიკური სამყაროდან მომდინარეობენ და ძველ ბერძნულ საკუთარ სახელებს წარმოადგენენ, მეტად გავრცელებულს ბერძნულ მითოლოგიაში. ცნობილი ბერძნული მითის მიხედვით, "ევროპა" იყო ფინიკიელი მეფის ქალიშვილი, რომელიც გაიტაცა ღვთაება ზევსმა, ხარად გარდაქმნილმა, კუნძულ კრეტაზე. აქ მათ ეყოლათ შვილი "მინოსი", კუნძულ კრეტის მეფე. მეფე მინოსს უკავშირდება სწორედ კრეტაზე ცნობილი სასახლის - ლაბირინთის - აშენება, ბერძენ გმირ თეზევსის ხართან - მინოტავრთან - აქ შებრძოლება და მისი ლაბირინთიდან გამოყვანა არიადნეს ძაფის დახმარებით.

თვით ბერძნული სახელები "ევროპა" და "აზია" სემიტური წარმომავლობის სიტყვებს უკავშირდება, შესაბამისად "საღამოს", "მზის ჩასვლისა" და "გამოსვლის", "მზის ამოსვლის" მნიშვნელობებით. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ "ევროპა" ბერძნულ მითოლოგიაში სწორედ ფინიკიელი (ე.ი. სემიტი) მეფის ქალიშვილი იყო.

ძველი ბერძნებისათვის საზღვარი სამხრეთ ევროპასა და აზიას შორის კოლხურ მდინარე "ფაზისზე" გადიოდა. მდინარე "ფაზისი" გაიგივებულია დღევანდელ "რიონთან", თუმცა "ფაზისის" სახელწოდებით ბერძნულ სამყაროში სხვა მდინარეებიც აღინიშნებოდა, შესაძლებელია, მდინარე "ჭოროხიც". ამდენად, "ევროპის" საზღვრად სამხრეთში ტრადიციული წარმოდგენების თანახმად მდინარე რიონი უნდა მივიჩნიოთ და ზოლი "ევროპასა" და "აზიას" შორის არა კავკასიონის ქედის გასწვრივ გავავლოთ, არამედ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით არსებული მდინარეების დინების მიხედვით ვივარაუდოთ.

ამ თვალსაზრისით "კოლხეთიც", "კოლხეთის სამეფოც" ძველი ბერძნებისათვის მთლიანად ევროპაში იყო მოთავსებული და "ევრაზიული" კონტინენტის საკუთრივ "ევროპულ" ნაწილს განეკუთვნებოდა. "ზანური ენა" - დღევანდელი მეგრულ-ლაზურის წინაპარი ენა - იყო სწორედ კოლხური სახელმწიფოს ენა, რომელზედაც, როგორც ივარაუდება, მეტყველებდა აია-ქვეყნის, ე.ი. "კოლხეთის", მეფე აიეტი. ამ ენას აკაკი შანიძე "კოლხურს" უწოდებს. სწორედ ამ ენიდან ისესხეს ბერძენმა არგონავტებმა "ტყავის" აღმნიშვნელი კოლხური სიტყვა ტყოვი/ტკოვი "ოქროს საწმისის" გამოსახატავად (ბერძნ. კოვ-), რომლის მოსაპოვებლად ისინი უძველეს ხანაში კოლხეთისაკენ გამოემართნენ.

ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასი წლისთავი, რომელიც ჩვენი საუკუნის დასასრულს მთელმა ქართველმა ხალხმა უნდა აღნიშნოს, სწორედ კოლხეთის ქართულ-ქართველურ სახელმწიფოდ მიჩნევამ განსაზღვრა; სწორედ ძველი კოლხეთით, კოლხური სახელმწიფოებრიობით თარიღდება უძველესი ქართული სახელმწიფოებრიობა. შემთხვევითი არაა, რომ "ქართული სახელმწიფოებრიობის" ჩასახვის თარიღად სხვადასხვა მეცნიერულ თვალსაზრისებს შორის საქართველოს პრეზიდენტი სწორედ "კოლხურ ვარიანტზე" შეჩერდა.

უახლესი გამოკვლევების მიხედვით, კოლხური სახელმწიფოებრიობის არსებობა ჩვენ უკვე ძვ. წელთაღრიცხვის მე-15 საუკუნისათვის უნდა ვივარაუდოთ, რამდენადაც მიკენური ეპოქის ბერძნულ წარწერებში (ძვ. წელთაღრიცხვის XV/XIV ს.ს.) დოკუმენტურად დასტურდება მრავალი სახელი, რომლებიც "არგონავტების მითიდან" იყო ჩვენთვის ცნობილი, მათ შორის ისეთი სახელები, როგორიცაა "(ქვეყანა) აია", "კოლხიდა", "იასონი" და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს და საზოგადოდ სამხრეთ-კავკასიის დიდი ნაწილი, უძველესი წარმოდგენების მიხედვით, "ევრაზიული" კონტინენტის სწორედ ევროპულ ნაწილში მდებარეობს, განსხვავებით რიონის და ჭოროხის სამხრეთით მდებარე რეგიონებისაგან (ანატოლია, ირანის ზეგანი, მესოპოტამია), რომლებიც ამავე წარმოდგენების თანახმად კონტინენტის "აზიურ" ნაწილს განეკუთვნება და თანამედროვე გეოგრაფიულ ნომენკლატურაში "წინა აზიის" ან "სამხრეთ-დასავლეთი აზიის" სახელწოდებით არის ცნობილი (გერმან. Vorderasien, ინგლ. South West Asia). ამავე არეალს ხშირად "ახლო აღმოსავლეთს" უწოდებენ (რუს. **Ближний восток**, ინგლ. Near East). ამდენად, საქართველო და "სამხრეთ-კავკასია" საზოგადოდ უნდა განვიხილოთ ევრაზიული კონტინენტის საკუთრივ ევროპულ ნაწილში მდებარე რეგიონად, რომელსაც გეთავაზობენ "სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა" ეუწოდოთ (რუს. **Юго-Восточная Европа**, ინგლ. South East Europe), "სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის" ანალოგიით (რუს. **Юго-Восточная Азия**, ინგლ. South East Asia).

მაშასადამე, "ევრაზიული" კონტინენტის ევროპული ნაწილი შედგება "დასავლეთ-ევროპის", "აღმოსავლეთ-ევროპისა" (საზღვრებით ურალის მთებისა და კასპიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ) და "სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისაგან", რომელშიც შედის საქართველოს და სამხრეთ-კავკასიის სხვა ქვეყნები.

ამდენად, საქართველოს ევროსაბჭოში გაერთიანება არსებითად დადასტურება გამოდის იმისა, რომ ქართული სახელმწიფო გეოგრაფიულად ყოველთვის ევრაზიული კონტინენტის ევროპულ ნაწილს განეკუთვნებოდა. საქართველოს ამ საბჭოში გაწევრიანება გამოდის ჩვენი ტრადიციული "ევროპულობის" აღიარება.

მაგრამ რამდენად "წმინდა ევროპულია" თვით ქართული კულტურა და ქართული ცივილიზაცია? რომელ სამყაროს განეკუთვნება საქართველო კულტურულ-ისტორიულად - "დასავლურს" თუ "აღმოსავლურს", როგორ კულტურულ-ისტორიულ კავშირებს ავლენს ქართული სახელმწიფო თავისი სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე?

რამდენადაც საქართველო მდებარეობს ევროპის უკიდურესად სამხრეთ-აღმოსავლურ ნაწილში და კონტინენტის "აზიურ" ნაწილს ესაზღვრება, ბუნებრივია, ქართული კულტურა და ცივილიზაცია სწორედ დასავლურ-აღმოსავლური კულტურების სინთეზსა და სიმბიოზს წარმოადგენდეს, აღმოცენებულს ამ კულტურათა შერწყმისა და შერევის შედეგად.

ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის აკვნად სამართლიანად ანტიკური ბერძნული კულტურა და ცივილიზაცია ითვლება. თვით ეს ბერძნული, "ელინური" კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისი ფესვებით ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციასთან.

ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობის შემდეგ ჩამოყალიბდა ე.წ. "ელინისტური" კულტურა და ცივილიზაცია, რომელიც წარმოადგენდა ბერძნული, "ელინური" კულტურის შერწყმას აღმოსავლურ კულტურულ ტრადიციებთან. ამ პროცესში წინარექრისტიანულ ქართულ კულტურულ ტრადიციებსაც გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა. აღმოსავლეთიდან მომდინარე ეს კულტურული იმპულსები და გავლენები დასავლურ კულტურასა და ცივილიზაციაზე აისახება სწორედ ცნობილ ლათინურ სენტენციაში - Ex Oriente Lux - "სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის". ამ სიმბიოზური "ელინისტური" კულტურის შერწყმით აღმოსავლურ ქრისტიანობასთან იქმნება ბიზანტიური კულტურული ტრადიციები, რომლის სფეროში შემოდიან აგრეთვე აღმოსავლური ქრისტიანობის არეალში მოქცეული ქვეყნები, მათ შორის ისტორიული საქართველოც. "ელინისტური" კულტურული ტენდენციების საფუძველზე ყალიბდება აღმოსავლური ქრისტიანობის წიაღში ახალი კულტურული ცენტრები, საკუთარი ეროვნული დამწერლობებითა და აღმოსავლურ-დასავლურ ცივილიზაციაზე დამყარებული ეროვნული კულტურული ტრადიციებით. ამაშია სწორედ ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალურობა და განუმეორებლობა, ამაში მდგომარეობს მისი მომხიბვლელობა, როგორც დასავლეთისათვის, ისე აღმოსავლეთისათვის.

საქართველო იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქრისტიანულ კულტურულ ცენტრად, რომელმაც თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე მრავალი აღმავლობა და დაცემა განიცადა, სანამ იგი დღემდე როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო მოაღწევდა.

დღეს ჩვენ უნიკალური ისტორიული შანსი გვეძლევა ამ კულტურის მთელს მსოფლიოში გაცხადებისა და დემონსტრირების, და ეს შესაძლებლობა ჩვენ ღირსეულად უნდა გამოვიყენოთ.

ისტორიამ განკარგა ისე, რომ საქართველოში ოთხმოცდაათიან წლებში სათავეში მოვიდნენ პოლიტიკური ძალები, რომელთაც ქართული სახელმწიფო იმდროინდელი სრული საერთაშორისო იზოლაციიდან გამოიყვანეს და უპირატესად დასავლური ორიენტაციის წყალობით იგი ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანეს.

ამას პირველ რიგში ხელი შეუწყო საქართველოს და მთელი სამხრეთ-კავკასიის გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარე, კონტინენტის აზიური და ევროპული ნაწილების გამაერთიანებელმა რეგიონმა, აგრეთვე მნიშვნელოვანწილად პიროვნულმა ფაქტორებმაც, უპირველეს ყოვლისა საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე პოლიტიკურმა და სახელმწიფოებრივმა მოღვაწეობამ.

სწორედ ედუარდ შევარდნაძემ წამოაყენა და პრაქტიკულად განახორციელა კონცეფცია საქართველოს გადაქცევისა აღმოსავლეთ-დასავლეთის გამაერთიანებელ ძირითად არტერიად, ძირითად სატრანზიტო გზად და დერეფნად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

ამ ფუნქციას ისტორიულად, როგორც ცნობილია, ასრულებდა "დიდი აბრეშუმის გზა", რომლითაც სხვა საქონელთან და ნაწარმთან ერთად აღმოსავლეთიდან დასავლეთში უპირატესად ჩინური აბრეშუმი შედიოდა. დადგა საკითხი სწორედ ამ "დიდი აბრეშუმის გზის" გაცოცხლებისა და აღორძინების.

ტერმინი "აბრეშუმის გზა" XIX საუკუნის ბოლოს გერმანულ მეცნიერებაში შეიქმნა და იხმარებოდა უძველესი სავაჭრო გზის აღსანიშნავად ჩინეთიდან დასავლეთისაკენ, რამდენადაც აბრეშუმი ძველად დასავლეთში ჩინეთიდან შემოტანილი ყველაზე ფასეული ქსოვილი და ერთ-ერთი ძვირფასი ნაწარმი იყო, და ისევე როგორც ნავთობი დღეს, აბრეშუმი ძველად იყო არა მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო საქონელი, არამედ ერთ-ერთი ძირითადი საგადასახადო საშუალება აღმოსავლეთში.

ამდენად ისტორიულად სავსებით გამართლებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ახალი სავაჭრო და სატრანზიტო გზის მეტაფორულად "აბრეშუმის გზის" სახელით წოდება. მაგრამ თუ ისტორიული "დიდი აბრეშუმის გზა" საქართველოს მნიშვნელოვნად უფრო სამხრეთით გადიოდა და მხოლოდ რაღაც პერიფერიული შტო თუ შემოდიოდა სამხრეთ-კავკასიის რეგიონში, დღეს საქართველოზე "ახალი აბრეშუმის გზის" სწორედ ძირითადი არტერია გაივლის; საქართველო დღეს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი რეგიონის ცენტრშია მოქცეული. შესაძლოა, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ლაპარაკი არა ისტორიული "დიდი აბრეშუმის გზის" აღდგენისა და გაცოცხლების შესახებ, არამედ "ახალი აბრეშუმის გზის" შექმნაზე, რომლის ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი არტერია სწორედ საქართველოზე გაივლის, რაც სავსებით შეესაბამება საქართველოს ისტორიულ მისიას დასავლურ-აღმოსავლური ცივილიზაციებისა და ნაკადების კულტურული შერწყმისა და გაერთიანების. და ყოველივე ეს ხდება დღეს, ჩვენს თვალწინ, ხდება უმოკლეს ვადებში, შინაგანი ომებითა და კონფლიქტებით დამძიმებულ ჩვენს ქვეყანაში. ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აიხსნება არსებითად სუბიექტური ფაქტორებით, საქართველოს პრეზიდენტის პიროვნული თვისებებით და მისი ადგილით თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში.

დღეს ედუარდ შევარდნაძე ერთადერთ მოქმედ სახელმწიფო მოღვაწედ რჩება იმ დიდ პოლიტიკოსებს შორის, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს მსოფლიოში ახალი, "ცივი ომის" შემდგომი დემოკრატიული წესრიგის დანერგვასა და დამყარებაში. ეს საქართველოს პრეზიდენტს მსოფლიო პოლიტიკაში განსაკუთრებულ პრესტიჟს ანიჭებს და ქარიზმატულობას მატებს, რასაც იგი თავის საქმიანობაში ნარმატებით იყენებს ჩვენი ქვეყნის წარმოსაჩენად და მსოფლიო პოლიტიკურ თუ კულტურულ რუკაზე მის დასამკვიდრებლად.

ამ რუკაზე ახალი გეოპოლიტიკური ფუნქციის შეძენით როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი რგოლისა, რასაც დღევანდელ ეტაპზე, უდავოდ, უფრო მეტად პოლიტიკური მნიშვნელობა და ღირებულება აქვს, საქართველო მსოფლიო სტრატეგიული ინტერესების სფეროში ექცევა, რაც მისი დამოუკიდებლობის დამატებით გარანტიებს ქმნის და რაც, მეორეს მხრივ, მძაფრ წინააღმდეგობას იწვევს ჩვენი სახელმწიფოს ამ უახლესი გეოპოლიტიკური და კულტურული ფუნქციის მოწინააღმდეგე ძალებისა. გასაგებია აგრეთვე ისიც, რომ ეს ძალები დარტყმას საქართველოს პრეზიდენტის, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ამ უახლესი გეოპოლიტიკური ფუნქციის შემოქმედისა და განმასახიერებლის, წინააღმდეგ მიმართავენ. ამგვარი წინააღმდეგობა შეწყდება ალბათ მაშინ, როდესაც ეს ძალები დარწმუნდებიან, რომ საქართველოს მიერ ამ უახლესი გეოპოლიტიკური ფუნქციის შესრულება შეუქცევადი ხდება და ვერაფერი შეცვლის ჩვენი სახელმწიფოს ამ უმნიშვნელოვანეს კულტურულ-ისტორიულ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ მისიას.

ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე საქართველო არასოდეს ყოფილა ასეთ ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გასული, და ყოველივე ეს ხდება არნახული სისწრაფით, სულ რამდენიმე წლის მანძილზე.

ამ გრანდიოზული გეგმის განსახორციელებლად საქართველოში და მთელს კავკასიაში, ბუნებრივია, საჭიროა დამკვიდრდეს რეალური მშვიდობა, მოხდეს სიტუაციის სტაბილიზაცია. ამასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძე აყენებს იდეას "მშვიდობიანი კავკასიისა" და კავკასიაში "კულტურათა დიალოგის" შესახებ; თბილისში ეწყობა ფართო საერთაშორისო კონფერენციები, რომლებიც კავკასიაში "კულტურათა დიალოგის" პრობლემას ეძღვნება, და ედუარდ შევარდნაძის ეს იდეა იმთავითვე უპირისპირდება მსოფლიოში მეტად გავრცელებულ კონცეფციას "ცივილიზაციათა შეჯახების" შესახებ, რომელიც ჰარვარდის პროფესორის სამუელ ჰანტინგტონისაგან მომდინარეობს.

სამუელ ჰანტინგტონის მიხედვით, მომავალი ომები მსოფლიოში ატყდება არა ცალკეულ სახელმწიფოებსა და პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის, არამედ განსხვავებულ ცივილიზაციებს შორის, და ეს მოხდება დაპირისპირებულ ცივილიზაციათა ზონებში; ერთ-ერთ ასეთ ზონად სამუელ ჰანტინგტონს კავკასიაც აქვს დასახელებული.

იმავე ჰარვარდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ედუარდ შევარდნაძის იდეა "მშვიდობიანი კავკასიისა" და "კავკასიაში კულტურათა დიალოგისა და ჰარმონიული თანაარსებობის" თაობაზე ერთგვარად უპირისპირდება სამუელ ჰანტინგტონის კონცეფციას "ცივილიზაციათა შეჯახების" შესახებ. ამით "მშვიდობიანი კავკასიის" იდეა როგორც ანტითეზა "ცივილიზაციათა შეჯახების" კონცეფციისა საერთაშორისო ყურადღებას იძენს და სათანადო ადგილს იმკვიდრებს თანამედროვე მსოფლიო პოლიტოლოგიურ კონცეფციათა სისტემაში.

ნელს შემდგომაზე აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან არსებული "აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრში", რომლის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეა - "შევარდნაძის ცენტრში" - იუნესკოს ეგიდითა და დაფინანსებით ეწყობა ამ საკითხებისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთკავშირის ფართო პრობლემატიკისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო კონფერენცია-სიმპოზიუმი, რომელშიც დაგეგმილია თანამედროვე პოლიტოლოგიის ისეთი გრანდების მონაწილეობა, როგორებიც არიან ზბიგნევ ბჟეზინსკი, ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ჯეიმს ბილინგტონი, თვით სამუელ ჰანტინგტონი, ჰარვარდის პროფესორი რიჩარდ პაიპსი, დიტრიხ გენშერი და სხვანი. უმრავლესობა მათგანი "შევარდნაძის ცენტრის" უცხოელი საპატიო წევრები არიან და აღნიშნულ "ცენტრს" თავიანთ ქვეყნებში წარმოადგენენ.

იმედია, ყოველივე ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს, როგორც ევროპული სახელმწიფოსა და აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟისა და რეპუტაციის განმტკიცებას. ■

[illegible] გამოქვეყნდა აგრეთვე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა", №138, 26 ივნისი, 1999წ.